№ 412

31/03/2022

ხელშეკრულება #14
cpv კოდი - 75100000

ქ. თბილისი 31 მარტი 2022 წ.

ერთის მხრივ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის გივი თუმანიშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი მისი ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ჭელიძის სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება:

1.1. სატრანსპორტო საშუალება ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალება – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება.
1.2. რეგისტრაცია –საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქცი“-ით დადგენილი წესით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაცია, დროებითი რეგისტრაცია, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, აღრიცხვიდან მოხსნა, სარეგისტრაციო ნიშნების გაცემა, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის მისი დაშვება, დადგენილი წესით სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში (სისტემაში) ელექტრონული ან/და მატერიალური სახით სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების ასახვა.
1.3. რეგისტრაციაში ცვლილებები – შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, რეგისტრაციის შედეგად სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქცი“-ის მე-8 მუხლის პირველი ან მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებში ცვლილების ან/და დამატების შეტანა.
1.4. სარეგისტრაციო ნიშნები - რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი), ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, დროებითი მოწმობა, სატრანზიტო სანომრე ნიშანი, შიდა ტრანზიტი, ტექნიკური ტალონი, „TEST“ ნომერი.
1.5. საფასური - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.
1.6. მომსახურება – კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საექსპერტო შემოწმება; დათვალიერება; რეგისტრაცია; დაჩქარებული მომსახურება; აგრეთვე სააგენტოს მიერ „საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა მომსახურება.
1.7. დაჩქარებული მომსახურება – შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების გაწევა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემჭიდროებულ დროში.

მუხლი 2 . ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული სავარაუდო ღირებულების ფარგლებში.

მუხლი 3 . ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 35.00 (ოცდათხუთმეტი) ლარს და მისი ოდენობა დაზუსტდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით.
3.2. მომსახურების ტარიფები – მომსახურების ტარიფები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.3. გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
3.4. გადახდის გრაფიკი - ეტაპობრივად, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ჩვენ, აღნიშნულ დოკუმენტზე ვიზირების განმახორციელებელი და ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები ვადასტურებთ, რომ გავეცანით და ვეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს, აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი
ეროვნული უსაფრთხოების პოლკოვნიკი

გივი თუმანიშვილი